„112"-ის ლენტით...

№10

ივნისი
2014

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი,
სალომე გელუტაშვილი, ჰენრიეტა ელიაური, დავით ჭანტურია,
შალვა კუხიანიძე, თეო გაგოშიძე

დიზაინი თეა კუპრაძე

112-მა ევაჯუატორებით დახმარების სერვისი დანერგა 83.4-5

შსს-მ მზრუნველობა მოჯლეგულ ბავშვებს 112-ში უმასპინძლა 83.6-7

გერმანიის ფედერალური ჯრიმინალური პოლიციის დელეგაცია 112-ში 83.8

112-ის საინფორმაციო ბანერები საზღვაო და სამთო ჯურორტებზე 83.9-10

ჩარლოსვილის 911-ის ოპერატორმა უპასუხა საგანგებო ზარს, რომელიც მის შვილს ეხებოდა 83.11

83.12-13 ოპერატორის დღიური

83.14-15 უცნაური და სასაცილო საგზაო ნიშნები

83.16 როგორ დავასვენოთ თვალები

83.17 ეს საინტერესოა

83.18 მილოცვები

83.19 ფოტოკონკურსი

112-მა ევაკუატორებით დახმარების სერვისი დანერგა

შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტმა თბილისში ევაკუატორებით დახმარების სერვისი დანერგა. ამიერიდან, თბილისში მყოფ ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს 112-ზე დარეკვით ევაკუატორებით დახმარების სერვისით ისარგებლოს.

ახალი სერვისი თანამედროვე სტანდარტებს პასუხობს. 112-ს გააჩნია თანამედროვე ტექნიკა და აღჭურვილობა, რაც იძლევა ეფექტური კომუნიკაციისა და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დაცვის მიზნით, გამოყოფილია სპეციალურად გადახურული სადგომი და ბეტონისსაფარიანი, ახალი დაცული ტერიტორია, რათა სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენისგან არ მოხდეს სატრანსპორტო საშუალების დაზიანება. ტერიტორიაზე არსებული 24 საათიანი სათვალთვალო კამერები, დამცავი ღობე და სხვა ინფრასტრუქტურა გამორიცხავს ავტოსადგომზე მესამე პირთა არასანქცირებულ შეღწევას. ავტოსადგომები განლაგებულია დიღომში, ბალანჩინის ქუჩაზე და ვარკეთილში, გახოკიძის ქუჩაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით და მთავრობის დადგენილებით, განისაზღვრა საჯარიმო სადგომზე გადაყვანისა და დგომის ერთიანი, შეღავათიანი საფასური, რაც ბაზარზე არსებულ ტარიფზე 50%-ით ნაკლებია. ტრანსპორტირების მანძილის ათვლის საფასური იწყება ინციდენტის ადგილზე ევაკუატორის გამოცხადებიდან დანიშნულების ბოლო წერტილამდე.

ევაკუატორებით დახმარების სერვისის დანერგვა ასევე მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული დარღვევებისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების დროს, დროებით ჩამორთმეული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საჯარიმო სადგომზე დროული და უსაფრთხო გადაყვანისთვის.

შსს-მ მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს 112-ში უმასპინძლა

შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტმა, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, 2014 წლის 1 ივნისი, მზრუნველობა მოკლებულ 100 ბავშვს და 112-ის თანამშრომლების შვილებს მიულოცა.

მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრირების მიზნით 112-ის ეზოში გაიმართა გრანდიოზული ღონისძიება შოუს ელემენტებით, სადაც თამაშებში და კონკურსებში უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა მოწვეულმა ბავშვებმა.

სტუმრად მოსულ მოზარდებს ზღაპრის გმირები გაუმასპინძლდნენ. პერსონაჟებმა 112-ის ეზო რამდენიმე საათით ჯადოსნურ სცენად გადააქციეს. პატარები აღმოჩნდნენ ულამაზეს სამყაროში, სადაც თვითონ იყვნენ საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული თავგადასავლების მონაწილეები.

ბავშვებს საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ სახანძრო-სამაშველო, სასწრაფო სამედიცინო, საპატრულო ეკიპაჟები, გახალისდნენ სახის მოხატვით და 112-ის ტერიტორია ფერადი ცარცებით მოხატეს.

ღონისძიებაზე ბავშვებმა 112-ისაგან სამახსოვრო პრომო საჩუქრები მიიღეს.

დღის დასასრულს, სტუმარი ბავშვები სპეციალურად გამართულ, ჯგუფ „ნიუტონი“-ს კონცერტს დაესწრნენ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით ჩატარდა. კონცერტი გაიმართა 19:00 საათზე, კუს ტბის ტერიტორიაზე არსებულ ბარ „ვიტამინში“.





გერმანიის ფედერალური კრიმინალური პოლიციის დელეგაცია 112-ში

შსს-ს 112-ის დეპარტამენტს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კრიმინალური პოლიციის დელეგაცია ესტუმრა.

112-ის დირექტორმა, გიორგი ბიჭაშვილმა, სტუმრებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი დაათვალიერებინა და ქოლ-ცენტრის მუშაობის სპეციფიკა გააცნო.

დელეგაციის წევრებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ სხვადასხვა შემთხვევებზე ოპერატიული რეაგირებისათვის მნიშვნელოვანია სამი სამსახურის - სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, საპატრულო პოლიციის და სახანძრო-სამაშველო სამსახურის კოორდინირებული მუშაობა, რაც საქართველოში წარმატებით ხორციელდება.





112-ის საინფორმაციო ბანერები საზღვაო და სამთო ჯურორტებზე

112-მა საზღვაო და სამთო-სათხილამურო კურორტებზე საინფორმაციო ბანერები განათავსა. გადაუდებელი დამხარების ოპერატიული მართვის ცენტრისთვის მნიშვნელოვანია, დამსვენებლებსა და ადგილობრივ მაცხოვრებლებს ეფექტური ფორმით მიაწოდოს ინფორმაცია საგანგებო სიტუაციებში მოქმედი ნომრის - 112-ის შესახებ.

აღნიშნული პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა. პროექტის მეორე ეტაპზე, 112-მა საინფორმაციო ბანერები ბათუმში, ქობულეთში, სარფში, გონიოში, შეკვეთილში, ურეკსა და მესტიაში განათავსა. ხოლო, პირველ ეტაპზე საინფორმაციო ბანერები ბაკურიანსა და გუდაურში განთავსდა.

საინფორმაციო ბანერები ტურისტებსა და ადგილობრივებს გაუმარტივებს, მიიღონ ინფორმაცია გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის შესახებ და ეცოდინებათ სად დარეკონ, როდესაც საჭირო იქნება საპატრულო, სახანძრო-სამაშველო თუ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება.

Call
112

Call
112

112

Call
112
მესხია
MESTIA

ჩარლოსვილის 911-ის ოპერატორმა უპასუხა საგანგებო ზარს, რომელიც მის შვილს ეხებოდა

ჩარლოსვილის (ვაიომინგის შტატი, აშშ) 911-ის ოპერატორმა, ჯერი ვანრენენმა, მიიღო ისეთი ზარი, რომელზეც პასუხის გაცემას, ყველაზე ნაკლებად თუ ისურვებდა. ზარი ეხებოდა მისი 5 წლის ვაჟის ჯანმრთელობას. ის თამაშობდა მეზობლის სახლის წინა გაზონზე, როცა ბალახისმჭრელმა მანქანამ მას ფეხზე გადაუარა, რის გამოც ჰქონდა ძლიერი ტკივილი და სისხლდენა. მეზობელმა, რომელმაც ვერ შეამჩნია ბავშვი გაზონის ჭრისას და მას ფეხზე გადაუარა უმალვე დარეკა 911-ზე.

„ჩვენ არ ვასწავლით ჩვენს ოპერატორებს, თუ როგორ მოიქცნენ ასეთ შემთხვევაში. ეს სერიზული გამოცდა იყო ჯერისათვის, როგორც პირველ რიგში დედისთვის და ასევე როგორც ოპერატორისთვის. მან ოპერატიულად გამოიძახა საჰაერო სამაშველო რაზმი, რომელმაც შვეულფრენით გადაიყვანა დაზარალებული ბიჭი უახლოეს სავადმყოფოში“- განაცხადა ჩარლოსვილის სადისპეჩეროს უფროსმა, ბრენდა პალინმა.

მან ასევე დასძინა, რომ სადისპეტჩეროს მთელი კოლექტივი ამაყობს ჯერით. ის მაღალი დონის პროფესიონალი და ერთგული დედაა.

პატარა ჯეიმს ჩაუტარდა ოპერაცია, რის შედეგადაც მან ფეხის ორი თითი დაკარგა, მაგრამ საბედნიეროდ შეუძლია სიარული და მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

გულის პრობლემა

სუზი ბრენტის საავტორო წიგნში ერთ-ერთი თავი მნიშვნელოვან ინციდენტის ტიპს „გულს“ ეხება.

მე: გამარჯობა, გთხოვთ მიამბოთ რა ხდება? რატომ რეკავთ?

მოხუცი ქალბატონი: გამარჯობა ძვირფასო, ბოდიშს გიხდით შეწუხებისთვის, მაგრამ მე მგონი გულზე პრობლემა მაქვს.

მე: დიახ ქალბატონო, თქვენი მისამართი მითხარით.

მოხუცი ქალბატონი: 29 ფლოწერპოტ კოტეჯი ინ სუტტუნ.

მე: კარგი, რა სიმპტომები გაქვთ?

მოხუცი ქალბატონი: მე კონკრეტული სიმპტომი არ მაქვს, მე მგონია, რომ გული აღარ მიცემს.

მე: გული აღარ გიცემთ?

მოხუცი ქალბატონი: დიახ, მე ვეღარ ვგრძნობ პულსს.

მე: მაგრამ თქვენ ახლა გიცემთ გული, იმიტომ რომ მე მესაუბრებით, რომ არ გიცემდეთ, თქვენ დაღუპული იქნებოდით.

მოხუცი ქალბატონი: თქვენ ფიქრობთ, რომ მიცემს გული?

მე: დიახ, თქვენ თუ არ გჯერათ ჩემი, მე შემიძლია გამოვუშვა სასწრაფო-სამედიცინო დახმარება, თქვენც რომ დარწმუნდეთ.

მოხუცი ქალბატონი: არა ამის აუცილებლობა არ არის, არ მინდამათ დრო დავაკარგვინო. დიდი მადლობა ძვირფასო, უკეთ ვგრძნობ თავს.

ინციდენტის ტიპზე - „გული“ საქართველოს 112-ის ოპერატორი, ნატა ლომთაძე, გვესაუბრა:

112-ში საკმაოდ რთული და პრობლემატური მოვლენაა ინციდენტის ტიპი „გული“. ჩვენთან რეკავს ხალხი, რომელთაც აქვთ რეალური პრობლემა გულზე, ან იმ გარკვეულ მომენტში აქვთ გულის შეტევა, მაგრამ ამავე დროს ხშირად გვირეკავს ხალხი, რომელთაც არ იციან, თუ რა აწუხებთ. ვარაუდობენ, რომ მათი ცუდად ყოფნის მიზეზი გული იქნება. რეკავენ 112-ში და ამბობენ, რომ გული აქვთ ცუდად. არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც პაციენტი რეკავს, ვერ ამბობს, თუ რა აწუხებს და მხოლოდ მას შემდეგ, როცა ოპერატორი ჩამოუთვლის ჩივილებს, აცხადებს, რომ გული აწუხებს.

ხშირად არის შემთხვევები, როდესაც რეკავენ, იძახებენ სასრწაფოს და საუბრის დროსვე ამბობენ, რომ პაციენტი უკეთ არის და დახმარებას აღარ საჭიროებს. ასევე ნამდვილად ძალიან ხშირია რეალურად სხვა ჩივილის მქონდე პაციენტი ხშირად ემოციურ ფონზე რეკავდეს გულის ჩივილით. კარგი იქნებოდა თუ მოხდება გარკვეული დაყოფა ინციდენტის ასეთი ტიპების, მაგალითად იყოს ინციდენტის ტიპი „გული აქვს ცუდად“ და „ინფარქტი“, თუმცა ძალიან ძნელია და დიდი პასუხისმგებლობაა, ოპერატორმა აიღოს თავის თავზე იმის გაანალიზება, თუ რამდენად მძიმე პაციენტი რეკავს. ამიტომ პირადად მე, თუ მაძლევს პაციენტი საუბრის საშუალებას, მაქსიმალურად ვცდილობ დავაზუსტო, თუ რამდენად მძიმე სიტუაციაა, - აქვს თუ არა გულზე ოპერაცია გადატანილი პაციენტს, ინფრაქტი, ან რაიმე ქრონიკული დაავადება, რასაც ვაფიქსირებ შენიშვნების ველში, რათა დისპეტჩერმა გადასცეს ექიმს.



უცნაური და სასაცილო საგზაო ნიშნები

ჰავაი

ავსტრალია

ახალი ზელანდია



ახალი ზელანდია

სამხრეთ აფრიკა

იაპონია

ახალი ზელანდია

ტაილანდი

ახალი გვინეა

ბოლივია

კანადა

ახალი ზელანდია

ნამიბია

ახალი ზელანდია

კანადა



სინგაპური

როგორ დავასვენოთ თვალები

როცა თვალები გტკივათ, ალბათ თქვენ დაიღალეთ, ორგანიზმი განიცდის ვიტამინების უკმარისობას, გაჩნდა რაღაც ინფექცია, დასუსტდა მხედველობა.

დასაწყისში სცადეთ, რა თქმა უნდა, ექიმი-სპეციალისტის დახმარებით განსაზღვროთ ტკივილის მიზეზი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ მკურნალობა.

ჩვენ გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

- ვიტამინიზირებული კვება;
- დაასვენეთ თვალები, მოერიდეთ მკვეთრ გადასვლას სიბნელიდან სინათლეზე, სიცივეს, კაშკაშა შუქს, სხვა გამღიზიანებლებს;
- დილას და საღამოს დაიდეთ თვალებზე სველი ხელსახოცები, დასველებული მაგარი ჩაის ან გვირილას ნაყენში.
- ზაფხულში თვალებზე მიიფარეთ მრავალძარღვას, ახალი კომბოსტოს ფოთლები.
- დილით შეეცადეთ გამოხვიდეთ მწვანე ველზე ან გაზონზე, დიდხანს უყურეთ ბალახს, მისი ცვარით დაინამეთ თვალები.
- შენობაში, სადაც თქვენ განსაკუთრებით ხშირად იმყოფებით, გამორიცხეთ მეტის-მეტად ნათელი, წითელი, ნარინჯისფერი ფერები.
- გამოიბანეთ თბილი წყლით.
- ნუ იკითხავთ დაწოლილი.
- უარი თქვით ზედმეტ მკვეთრ განათებაზე სახლში.
- ფარდები, გადასაფარებლები, სუფრები იქონიეთ მწვანე, სალათისფერი, ცისფერი.

რამდენიმე ხნის შემდეგ აღმოაჩენთ, რომ თქვენს თვალებთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზეა.

წყარო: http://sana.ge/

ეს საინტერესოა...

აშშ-ში პირველად საგანგებო ნომრად 1-1-6 გამოიყენეს. ეს 1946 წელს, ლოს ანჟელესში, სამხრეთ კალიფორნიული სატელეფონო კომპანიის მიერ მოხდა. კანადაში პირველი საგანგებო ზარი 1959 წელს გაისმა და მისი ნომერი 999 გახლდათ (ისევე როგორც გაერთიანებულ სამეფოში). ეს მოხდა ჭ. ვინიპეგში, მანიტობა. თუმცა 1972 წლიდან კანადამ დაიწყო სარგებლობა 911-ით რათა კორდინირებულად ემუშავა აშშ-ს საგანგებო სამსახურებთან ერთად.

პირველად, 911 საგანგებო ნომრად ჰალივილში (ალაბამას შტატი) 1968 წელს გამოიყენეს. იმ დროისათვის ამერიკის მაშტაბით უამრავი საგანგებო ნომერი გამოიყენებოდა. 1980 წელს, ჩრდილოეთ ამერიკის ნუმერაციის ერთიანი გეგმის მიხედვით 911 მიღებულ იქნა, როგორც ერთადერთი სტანდარტი ყველა სახის საგანგებო სამსახურების გამოსაძახებლად.

911-ის გეგმის განხორციელება საკმაოდ რთული პროცესი გამოდგა, რადგანაც სატელეფონო სამსახურების საზღვრები ხშირად არ ემთხვეოდა სახელმწიფო და სხვა ადმინისტრაციულ საზღვრებს, რის გამოც ზარის ინიციატორები ხშირ შემთხვევაში უკავშირდებოდნენ მეზობელი საგრაფობის და სხვა შტატში განთავსებულ სადისპეტჩეროებს.

სატელეფონო კომპანიების ელექტორნულ სისტემაზე გადასვლამ ეს პრობლემა სრულებით მოაგვარა, მაგრამ სმარტფონების ეპოქის დაწყებასთან ერთად აღნიშნულმა პრობლემებმა ისევ იჩინეს თავი. რა თქმა უნდა ამ შემთხვევებს არ აქვთ ისეთი მასშტაბური ხასიათი, როგორც ადრე. წამყვანი სატელეკომუნიკაციო კომპანიები აქტიურად მუშაობენ ნებისმირი ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

გილოცავთ...


ᲛᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲫᲔᲜᲐᲡ ᲕᲣᲚᲝᲝᲠᲗ
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲡ
ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲛᲐᲩᲐᲜᲔᲚᲡ
ᲓᲐ
ᲜᲘᲜᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐᲡ

ნინო ლაშხი

შსს სსიპ 112-ის ზარის მიმღები

შსს სსიპ - 112

ვაშლიჯვრისა და ნუცუბიძის
მიკრორაიონების დამაკავშირებელი
ავტობანი

ვებ-გვერდი WWW.112.GE
ელ-ფოსტა 112NEWS@112.GE